პროფესორი

რექტორის ბრიბუნა

გარი ჩაფიძე: - პედაგოგიკის დეონტოლოგია

იდეალად მიმაჩნია ისეთი მდგომარეობა, რომ იმ მომენტში როცა ლაპარაკი იწყება სიყვარულზე, ქორწინებაზე, ბავშვებზე, ადამიანი – ჩვენი პატარა ადამიანიც, ბავშვიცა და მოზარდიც – იმასვე უნდა გრძნობდეს, რასაც გრძნობს და განიცდის ემოციურად აღზრდილი ადამიანი ხელოვნების ათასწლოვანი ძეგლის დანახვისას. ჩვენ, უფროსმა თაობამ, უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ ველაპარაკოთ ბავშვებს და ახალგაზრდებს დიადისა და მშვენიერის შესახებ – სიყვარულზე, ქორწინებაზე, ბავშვების დაბადებაზე, სამარის კარამდე ადამიანის ერთგულებაზე... სიკვდილსა და გულის ხსოვნაზე, სანამ ჩვენ ამის შესახებ ლაპარაკსა და ფიქრს არ ვისწავლით, მანამ ვერ ვასწავლით ჩვენს სტუდენტებს გულისთქმათა და გრძნობათა სიწმინდესა და სილამაზეს. ამ სფეროში უვიცობას კი სტუდენტთა ცრემლები და მწუხარება მოსდევს.

დაქორწინებისას ახალგაზრდა ვაჟსა და გოგონას წარმოდგენა არა აქვთ ურთიერთობათა იმ რთულ და სათუთ კულტურაზე, რომელსაც დაქორწინებულთა ცხოვრება მოითხოვს.

მათთვის არავის უთქვამს და მათ არ იციან, რომ ქორწინებითი ცხოვრება, ყოველდღე ერთად, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება არაა პაემანი ბედნიერ საათებში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე, – ეს არის ისეთი დიდი შრომა, სულიერი შრომის დაძაბულობა, რომლის შედარება არაფერთან არ შეიძლება. ამისათვის საჭიროა უდიდესი სულიერი კულტურა, სულიერი მომზადება, სიბრძნის სკოლის გავლა...

ასეთი სკოლა კი, არც კოლეჯი და არც ინსტიტუტი რაგინდ უცნაურობადაც მოგეჩვენოთ, არა გვაქვს, ამიტომაც არ არსებობს მშობელთა პედაგოგიკაც. ამიტომ ბავშვების დაბადებისათვის ზოგიერთი ახალგაზრდა ზნეობრივად ისეა მომზადებული, როგორც წერა-კითხვის უცოდინარი კაცი ფილოსოფიის წვდომისა და გაგებისათვის... ცხოვრება მოითხოვს, რომ ბიჭებისა და გოგონებისათვის კოლეჯებსა და ინსტიტუტებში შემოღებული იქნეს კურსი საოჯახო ურთიერთდამოკიდებულების კულტურის, ქორწინების, ბავშვთა დაბადებისა და აღზრდის შესახებ... ეს კურსი უნდა ასწავლოს სულიერად მდიდარმა, მორალურად მომზადებულმა ადამიანმა... ხვალინდელი მამებისა და დედების წინაშე დამაჯერებელი ფაქტებით უნდა ავხსნათ და განვმარტოთ იმ ჭეშმარიტების არსი, რომ დაქორწინებულთა ცხოვრება ნიშნავს ყოველ წამს შეხებას ადამიანთან აზრით, გულით, გრძნობებით, ჯერ ქმართან, ცოლთან, შემდეგ – ბავშვებთან, ძალიან რთული და სათუთი საქმეა გონებითა და გულით ჩასწვდე ერთი შეხედვით უბრალო ცხოვრებისეულ საკითხებს. ეს საკითხები მოითხოვს მშობლებისა და პედაგოგის დიდ სიბრძნეს, ხოლო თუ ჩვენ ნამდვილად გადავუშლით ვაჟებსა და გოგონებს ცხოვრების სიბრძნესა და სირთულეს, ეს მათ დაეხმარებათ გახდნენ მოწიფულნი, წინდახედულნი, აღარ იქნება ის ქარაფშუტობა, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ბევრი ახალგაზრდის შეხედულებებსა და საქციელში. დემოკრატია ოჯახურ ურთიერთობებზე უარის თქმას როდი ნიშნავს!

ადამიანის არსება ყველაზე უფრო ნათლად აიხსნება მოვალეობაში. იმაში, რომ ადამიანი კისრულობს პასუხისმგებლობას სხვა ადამიანისათვის. მოვალეობა და კიდევ მოვალეობა - აი ის ატმოსფერო, რომელშიც უნდა ვზრდიდეთ ადამიანის მიერ ნაშობ არსებას, რათა მას ღირსეულად ერქვას ადამიანის დიდი სახელი, ამიტომაც ძნელია სიტყვებით გადმოსცე დედობრივი, მამობრივი გრძნობები. მათში სრულად ჩაწვდომა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც თვითონ გახდა მამა ან დედა. მინდა გავიხსენო ერთი ასეთი ამბავი, იმ სასწავლო დაწესებულებაში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი ახალგაზრდა მეუღლეებს - მასწავლებლებს - დიდხანს არ გაუჩნდათ შვილები. ათ წელიწადს ელოდნენ მშობლიურ ბედნიერებას და უკვე ნაკლებად სჯეროდათ, რომ მათ ოჯახშიც შეიხედავდა იგი... მაგრამ აი, ახალგაზრდა ქალი დაორსულდა, სოხარულის ცრემლებით ჰყვებოდა იგი ამის შესახებ რექტორატში: ჯერ ქალებს უამბობდა, მერე კი ქალებმა მამაკაცებსაც გაგვაგებინეს, ყველას გვიხაროდა და ცოლ-ქმარს ვულოცავდით. ხოლო როცა ახალგაზრდა მამამ თავისი მეუღლე ვაჟიანად მოიყვანა სახლში, ბედნიერი და აღელვებული, ხელში აყვანილი შვილით კოლეჯშიც მოვიდა. უნდოდა რაღაც ეთქვა და აცრემლდა. მერე კი, როცა მღელვარება დასძლია თქვა:

-იმ წუთიდან, როცა ბავშვის ხმა გავიგონე, სრულიად სხვა ადამიანად ვიგრძენი თავი. ჩემს გულს პაწაწა ნამცეცი გამოეყო და ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ ეს ჩემი მეორე გულია, ჩემი მეორე არსებაა...

შემდეგ მან მოგვითხრო, რომ ლექციებზე მან ახლა სრულიად სხვანაირად დაინახა ბავშვები: "ბავშვის ყოველი ტკივილი ჩემს საკუთარ ტკივილად იქცა", -ამბობდა იგი.

ჩავუფიქრდეთ ამ სიტყვებს მშობლებო! ბავშვს რომ ვბადებთ, ამით ჩვენი გულის ნაწილს გამოვყოფთ, ადამიანისთვის - შემოქმედისთვის არაფერია იმაზე უფრო კეთილშობილი, უმაღლესი მისია, ვიდრე მამობა და დედობა, იმ დროიდან, როცა შენმა სისხლმა სისხლთაგანმა და ხორცმა ხორცთაგანმა სუნთქვა დაიწყო და სამყაროს გახელილი თვალები მიაპყრო, შენ უდიდესი პასუხისმგებლობა იკისრე: ყოველ წუთს, შენს შვილს რომ უყურებ, საკუთარ თავს ხედავ; შენს შვილს რომ ზრდი, საკუთარ თავსაც ზრდი, განამტკიცებ შენს ადამიანურ ღირსებას...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

თბილისი ჩვენი მიზანი წარმატებაა!

ქალაქ თბილისში, ჯავახეთის ქუჩა №7-ში, თითქმის ოცი წელია, რაც საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევიან სხვადასხვა სასწავლო დაწესებულების თანამშრომლები, აქ იყო საქართველოს საერო უნივერსიტეტი „გაენათი“, ქალაქ თბილისის ჰუმანიტარული კოლეჯი – და უკვე თითქმის ათი წელია, ამ პატარა შენობის სივრცეს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ თბილისის არაფორმალური პროფესიული სასწავლო ცენტრის სტუდენტები ახმაურებენ – სანიმუშო წესრიგი, დაკისრებული მოვალეობის მაღალი პათოსით შესრულება! – აი ლექტორ-მასწავლებელთა ძირითადი მიმართულება! რომელსაც სასწავლო ცცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ბატონი დავით ბერიძე ხელმძღვანელობს – ამიტომაც უამრავი კურსდამთავრებულიდან უმეტესობა სპეციალობით მსახურობს სხვადასხვა დარგებში, ჩვენი მიზანი წარმატებებია და მოწინავეობას არავის დავუთმობთ!

თამარ ალუდაური
ქალაქ თბილისის სასწავლო ცენტრის პედაგოგი

ლაგოდეხი მადლობა ლაგოდეხიდან!

თითქმის ათი წელია რაც ლაგოდეხში საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრი არსებობს ბევრმა სტუდენტმა დაამთავრა ამ წლების განმავლობაში სასწავლებელი და უმეტესობა მუშაობს პროფესიის მიხედვით. ჩვენი კურსდამთავრებულები საუკეთესო მედ.დები და ფარმაცევტები, დაცვის წარმატებული თანამშრომლები და ბანკის ოპერატორები არიან. ყველა მათგანის და მთელი პედაგოგიური სპექტრის დიდი სურვილი იყო საკუთარი შენობა ჰქონოდათ, მაგრამ მხოლოდ ჩვენ გვისრულდება ეს სურვილი, პირველ და მეორე კურსელებს, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ბატონი გარი ჩაფიძე შეგვპირდა და კიდეც აგვისრულა დანაპირები. ერთ თვეში აშენდა კოხტა შენობა საუკეთესო ქუჩაზე, რადგან ამ ქუჩის, ვაშლოვანის ქუჩის ბოლოს ლაგოდეხის ცნობილი ნაკრძალია. ახლა მიმდინარეობს შიდა სამუშაოები და მალე ახალ შენობაში ვიზეიმებთ ახალმოსახლეობას! გაზაფხულის მოსვლის სიხარულს გვიათკეცებს ახალ შენობაში გადასვლა. მადლობა ბატონ გარის, ჩვენი სტუდენტების, პედაგოგების და ლაგოდეხელების სახელით ამ საჩუქრისთვის.

ლალი თაბუკაშვილი
ქალაქ ლაგოდეხის სასწავლო ცენტრის სამედიცინო სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი.

სასწავლებელში ბედნიერი ვარ! ჭიათურა

„სწავლა სინათლეა, უსწავლელობა – სიბნელე“ გვმოძღვრავს დიდი ილია ჭავჭავაძე, სწავლის ნაყოფი, შვება, ლხენა, სიხარულია-ასე მჯერა მე და ამიტომაც მიზნად დავისახე მივიღო სპეციალობა, რომლის საშუალებითაც შევეცდები ჩემი ადგილი დავიმკვიდრო საზოგადოებაში.

თანამედროვე ტექნიკის ეპოქაში, როცა რობოტებით ცდილობენ ადამიანების გამოდევნას ამა თუ იმ სფეროდან, კიდევ უფრო მეტი მონდომებით უნდა მოვეკიდოთ მომავალი პროფესიის შერჩევას. ყველა ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს მიზანი, რომ იბრძოლოს მისი განხორციელებისათვის. მიზნის გარეშე ადამიანის ცხოვრება უფერულია, უსიცოცხლოა.

ჩემი აზრით დიდი და პატარა პროფესია არ არსებობს, მისი არჩევისას გულს უნდა მივენდოთ, იგი ყველაზე კარგი მოკარნახეა, ასჯერ გავზომოთ, ავწონ-დავწონოთ და ისე ავირჩიოთ მომავალი გზა...

ცოდნა და განათლება ყველა განძზე ძვირფასია, ის მუდამ „თან დასდევს მცოდნელსა რაზომსაც დაეტარების, აქვს უხილავი საუნჯე ხელი არ დაეკარების” – ამიტომ ახალგაზრდობამ უნდა ვიბრძოლოთ ამ საუნჯის მოპოვებისათვის. ჩემს თანატოლებს მოვუწოდებ, რომ იღვაწონ ცოდნის მიღებისთვის, რათა გახდნენ კარგი სპეციალისტები.

მე საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ ჭიათურის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრში, ბანკის ოპერატორის სპეციალობის პირველ კურსზე ვარ. სწავლის დაწყების პირველი დღიდან ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა თითოეულმა აქ მოღვაწე ლექტორმა, მე მომწონს ისინი, როგორც პიროვნებები, ასევე მათ მიერ წაკითხული ლექციები. ძალიან დადებითი მუხტი მოდის მათგან. ყოველდღე დიდი სიხარულით მომიწევს გული სასწავლებელში, აქ მე ბედნიერი ვარ!

ვერცერთ ლექტორს ვერ გამოვარჩევ, ყველას მიმართ დიდი სიყვარულით, სიმპათიითა და პატივისცემით ვარ განწყობილი, მაგრამ მაინც მინდა ჩვენი სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი თამარ ჩხეიძე გამოვყო რომელიც უაღრესად თბილი, ტკბილი და დადებითი პიროვნებაა. ვამაყობ, რომ ამ სასწავლებლის სტუდენტი ვარ, გმადლობთ თქვენი ასეთი სითბოსთვის, სიყვარულისა და გულისხმიერებისთვის.

სალომე პაპიძე
ქალაქ ჭიათურის სასწავლო ცენტრის ბანკის ოპერატორის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი

თერჯოლა ვიზრდებით და ვძლიერდებით!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ განათლების ღირებულებებს საქართველოში ყოველთვის მაღალი პრიორიტეტი ჰქონდა. ჩვენ გენში გვიზის ცოდნის დუფლებისაკენ სწრაფვა. სწორედაც განწყობა და სურვილი განათლების მიღებისა არის ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის მნიშვნელოვანი პირობა.

უკვე მეოთხე წელია თერჯოლის სასწავლო ცენტრი იმ დიდი და საერთო ოჯახის წევრია, რომელსაც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი ჰქვია. დიახ, 2014 წლის პირველ ოქტომბერს დაირეკა თერჯოლაში სტუდენტური ცხოვრების დაწყების მაუწყებელი საზეიმო ზარი. მაშინ პირველი კურსის სამ სპეციალობაზე (ბაგა-ბაღის აღმზრდელი, ბანკის ოპერატორი და დაცვა-პატრულირება) მივიღეთ 12 სტუდენტი. მას შემდეგ სამი სასწავლო წელი გავიდა. ნელ-ნელა ავიდგით ფეხი, თანდათან გავძლიერდით და დღეს თერჯოლის სასწავლო ცენტრში 25 სტუდენტი სწავლობს. მათ ჩვენი მუნიციპალიტეტის ღირსეული პიროვნებები უკითხავენ ლექციებს, უტარებენ პრაქტიკულ სემინარებს.

არ მინდა ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ ნამდვილად საინტერესო და საოცნებო სასწავლო შემოქმედებით კერად იქცა, სულ სამი წლის ისტორიის მქონე თერჯოლის სასწავლო ცენტრი. მიხარია, რომ სტუდენტებს ჩვენთან მოუხარიათ. აქ მათ მათდამი უაღრესად კეთილგანწყობილი ლექტორ-მასწავლებლები და სასწავლო გარემო ხვდებათ. ვცდილობთ, რომ სტუდენტები ცხოვრობდნენ საინტერესო სტუდენტური ცხოვრებით. ყველას ერთად კი სტუდენტთმრავლობის, წარმატებებისა და გამარჯვებების იმედი გვაქვს.

სასწავლო პროცესის პარალელურად დიდი ყურადღება ეთმობა კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობებსაც. ნება მიბოძეთ რამდენიმე მათგანი დავასახელო. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენთან ყველა აქტივობაში თანაბრად მონაწილეობენ სტუდენტებიც და პედაგოგებიც.

• 2017 წლის 27 მაისი:

დილის 8 საათი. თერჯოლის საკათედრო ტაძრთან შეკრებილი ადამიანების წინ ჩამოდგა მიკროავტობუსი, რომელმაც რამდენიმე წუთში რუსთავისაკენ აიღო გეზი. ასე დაიწყო თერჯოლის სასწავლო ცენტრის სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლების საგანმანათლებლო-შემეცნებითი ტურნე რუსთავის აკადემიურ ქალაქში. დიახ, 27 მაისს თვით ბატონ გარი ჩაფიძის მიწვევით ვიმყოფებოდით მის მიერვე დაარსებულ რუსთავის აკადემიურ ქალაქში. აღმოვჩნდით საოცარ სამყაროში.ეს გახლავთ ქალაქი ქალაქში ყველანაირი ინფრასტრუქტურითა და სამი ქუჩით. ჩვენ მივედით იმ დროს, როცა ის-ის იყო დასრულდა გერმანული დელეგაციის სტუმრობა. მეგზურობას თვით ბატონი გარი გვიწევდა. ფეხზე იდგა მთელი აკადემიური ქალაქი. ჩვენი დელეგაციის წევრები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. არაერთი ინოვაციური პროექტის ავტორი აქაც გაბედულ ინოვაციურ პროექტებს ახორციელებს, არადა სულ რაღაც 2000 კვადრატულ მეტრზე გაშენებული რუსთავის აკადემიური ქალაქი მხოლოდ ხუთ წელს ითვლის. აქ არის ბაგა-ბაღი, სკოლა, პროფესიული სასწავლო ცენტრი კოლეჯი, ინსტიტუტი, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტურანტურა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, წიგნის სახლი, „აკადემფარმი“, პოლიგრაფიის სახლი, შოკოლადის ქარხანა, რომელიც უახლოეს მომავალში თათარის სერიულ გამოშვებას დაიწყებს. ქალაქის ცენტრში დგას წმინდა ბარბარეს სახელობის პატარა სამლოცველო. აქვთ ვირტუალური სასამართლო დარბაზი, სადაც ყოველ დღე იმართება იმიტირებული პროგრამები სასამართლო პრცესები შესაბამისი სპეციალობის სტუდენტებისთვის, ვირტუალური ბანკში კი ქართული და უცხო ვალუტის მოძრაობის იმიტირებული პროცესია განსაკუთრებით მოგვხიბლა ასევე ვირტუალურმა აფთიაქმა. თვითმფრინავში მოწყობილ საბავშვო ბაღს კი ანალოგი არა აქვს მსოფლიოში. არასამუშაო დღის მიუხედავად, ეს ყველაფერი ჩვენი დელეგაციისათვის გახსნილი იყო. ჩვენმა სტუდენტებმა მოირგეს მოსამართლის, ადვოკატის, პროკურორის, მოწმის, ასევე ბანკის ოპერატორის, ფარმაცევტის. პილოტის, ბორტგამცილებლის როლები. შეხვედრის ოფიციალური მხარე საზეიმო სადილით დასრულდა. რუსთავიდან უზღვავი ემოციით დატვირთულები ვეწვიეთ მახათას მთაზე ჯერ კიდევ მშენებარე ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარს – ამ სიდიადეს, ამ სიწმინდეს, რომლის მშენებლობაშიც თითოეულმა ჩვენთაგანმა მივიღეთ მონაწილეობა და რომელზეც პატრიარქმა ასე ბრძანა: თითოეული თქვენთაგანი მიბრძანდებით თქვენს მიერ აშენებულ ღვთის სახლში“. ამის შემდეგ მოვილოცეთ წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, და ჩვენი ტურნე დავასრულეთ მცხეთის ჯვრის მონასტრის მოლოცვით.

ეთერ ტურავა
ქალაქ თერჯოლის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

სტუდენტთა მეთექვსმეტე სამეცნიერო კონფერენცია!

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტში ტრადიციად იქცა ყოველწლიურად სტუდენტთა სამეცნიერო კომფერენციების ჩატარება. კონფერენცია ჯერ რეგიონების სასწავლო ცენტრებში ტარდება ადგილზე, სადაც გამოვლინდებიან განარჯვებულნი და შემდეგ, გამარჯვებულ სტუდენტთა მონაწილეობით კონფერენცია იმართება ქალაქ რუსთავის სასწავლო ცენტრში, აკადემიურ ქალაქში.

გარეთ ზაფხულის თბილი მზე იდგა. ჩვენთან კი, აკადემიურ ქალაქში უფრო მეტი სითბო და სიყვარული სუფევდა, რომელსაც მღელვარებაც არანაკლები ახლდა. ჰო, საკმაოდ ღელავდნენ პედაგოგებთან ერთად რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტთა მეთექვსმეტე სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე ჩვენი სტუდენტები.

კონფერენცია ქალაქ რუსთავის სასწავლო ცენტრის სამედიცინო სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტმა სეადატ მუსაევამ გახსნა. გოგონას თემა რუსულ ენაზე მოემზადებინა, ხელმძღვანელ მანანა ჩხაიძესთან ერთად. „ევთანაზია სასიამოვნო სიკვდილი“ - ასეთი იყო ქალაქ ჭიათურის სასწავლო ცენტრის სტუდენტის მელანო სვანაძის თემა რომელზეც საინტერესოდ ისაუბრა სტუდენტმა, თემის ხელმძღვანელი ქალაქ ჭიათურის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პედაგოგი თამარ ჩხეიძე გახლდათ. ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ სამედიცინო სპეციალობის სტუდენტები: თინათინ ბაძგარაძე, სოფიო კურტანიძე, თამარ ბურდიაშვილი, ფერიდე ბურჯანაძე, სოფიკო დოლიძე, თეა აზნარაშვილი, დიანა ბიწაძე, ლენა მეგრელიშვილი, თამარ გამცემლიძე, მიხეილ კოვზირიძე. ისინი მონდომებით საუბრობდნენ თავიანთი თემების ირგვლივ. ჰო, ყველას სურდა გამარჯვება. თუმცა, ყველამ კარგად იცოდა, რომ გამარჯვება მხოლოდ ერთის ხვედრი იქნებოდა და ის... ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული უკრაინის საგზურით დაჯილდოვდებოდა.

სამედიცინო სპეციალობის სტუდენტები ბანკის ოპერატორის სექციამ შეცვალა, შრომით ხელშეკრულებასა და დამსაქმებლის უფლებებზე დამაჯერებლად ისაუბრა ქალაქ რუსთავის სასწავლო ცენტრის სტუდენტმა ლანა ფრიდონაშვილმა, რომელსაც თემა პედაგოგ ნინო კაკიაშვილის ხელმძღვანელობით ჰქონდა დამუშავებული. „საქართველოს თანამედროვე საკრედიტო სისტემა“ – ასეთი იყო ქალაქ თბილისის სასწავლო ცენტრის სტუდენტის მარიამ არღვლიანის თემა, ხელმძღვანელი – ირა ონიანი. პატრიოტიზმით იყო გამსჭვალული ქალაქ თელავის სასწავლო ცენტრის სტუდენტის სოფიკო ჩხერაულის თემა: „მე მიყვარს კახეთი“, ხელმძღვანელი ეკატერინე მელაიძე. საინტერესო იყო ქალაქ თბილისის სასწავლო ცენტრის სტუდენტის მარიამ ჭუმბურიძის თემა – „ჯეოსელი“ რომელიც გოგონას პედაგოგ თამარ გოცირიძის ხელმძღვანელობით მოემზადებინა. ბანკის ოპერატორის სპეციალობის სტუდენტები: თეონა ებრალიძე, მარეხი ტეფნაძე, ნინო სარალიძე, თეონა ქავთარაძე, დამაჯერებლად საუბრობდნენ მომზადებული თემების შესახებ. ბანკის ოპერატორის სექციამ მუშაობა დაამთავრა და დაცვა-პატრულირების სპეციალობის სტუდენტები წარსდგნენ მსმენელთა წინაშე. ინგლისურ ენაზე ისაუბრა თემის გარშემო ქალაქ რუსთავის სასწავლო ცენტრის სტუდენტმა თორნიკე სულთანიშვილმა, თემის ხელმძღვანელი ნანა წიკლაური. „ქრისტიანობა და საქართველო“ ასე ერქვა ქალაქ ლაგოდეხის სასწავლო ცენტრის სტუდენტის მარიანა გაბედავას თემას, ხელმძღვანელი – ქეთევან დოდაშვილი. როგორც წინა წლებში ახლაც გამორჩეული იყო თავისი გამოსვლით ქალაქ რუსთავის სასწავლო ცენტრის III კურსის წარჩინებული სტუდენტი ლაშა წერეთელი „აუცილებელი მოგერიება“ასეთი იყო მისი თემა, რომელიც მან პედაგოგ ზეინაბ ლამაზოშვილთან ერთად დაამუშავა. საქართველოს წყალსარგებლობაზე საინტერესოდ ისაუბრა ქალაქ თბილისის სასწავლო ცენტრის სტუდენტმა ალინა ალიევამ რომლის დამუშავებაშიც გოგონას პედაგოგი თინა ბანცური დაეხმარა. „საავტორო უფლებები“ ასე ერქვა პედაგოგ აკაკი რეხვიაშვილის დახმარებით სტუდენტ ლევან ზურიკაშვილის მომზადებულ თემას. ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებზე დამაჯერებლად ისაუბრა ქალაქ თბილისის სასწავლო ცენტრის სტუდენტმა ოთარ კვერცხიშვილმა.

კონფერენციაზე საინტერესოდ გამოვიდნენ ქალაქ თერჯოლის ბაგა-ბაღის აღმზრდელის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტები ეკა ზანკალიანი და ასმათი კობახიძე. „დიდაქტიკური თამაშები საბავშვო ბაღში“ – ასე ერქვა ეკა ზანკალიანის თემას, რომელიც სტუდენტმა პედაგოგ ლალი კუპატაძის დახმარებით მოამზადა. ხოლო ასმათ კობახიძის თემა ასეთი იყო: „როგორ გამოვიყენოთ სავარჯიშოები საბავშვო ბაღში სწორი მეტყველების დასაუფლებლად“, ხელმძღვანელი – მარინა ბოჭორიშვილი.

სტუდენტთა გამოსვლები დასრულდა. დასასრულს კონფერენციის მონაწილეებს, მოწვეულ სტუმრებს, დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ გულთბილად მიესალმა სასწავლებლის ხელმძღვანელი, პროფესორი გარი ჩაფიძე. მან კვლავაც წარმატებები უსურვა სტუდენტებსა და მათ ხელმძღვანელებს. კონფერენციამ მუშაობა დაასრულა.

კიდევ ერთი ლამაზი დღე ოქროს ასოებით ჩაიწერა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის მატეანეში.

თელავი — პოზიტიური სასწავლო გარემო!

განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში. განათლების მიღებისთვის საჭიროა ბევრი სწავლა და მონდომება. სწავლა არამარტო საზოგადოებასთან ურთიერთობაში გვეხმარება, არამედ სასურველი პროფესიის დაუფლებაშიც. სწავლა ძალაა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე თან დაჰყვება ადამიანს, სწორედ, ცოდნის მიღების აუცილებლობაზე წარმოთქვა სიტყვა ილია ჭავჭავაძემ წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე. მან თავის გამოსვლაში სწავლა სანთელს შეადარა. სანთლის მსგავსად, სწავლაც მუდამ უნათებს ადამიანს გზას. ცოდნამ არ იცის უფროს-უმცროსობა. იგი გადადის მამიდან შვილზე, შვილიდან შვილიშვილზე-უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული. სწავლა ისეთი დიდი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუნაწილო, შენ არაფერი დაგაკლდება თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაშიც ცოდნა ჰგავს სანთელს: ერთზე ათასი სხვა რომ მოვუკიდოთ, მას არც ალი დააკლდება და არც სინათლე, პირიქით, იმატებს კიდეც, რადგან ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპს.

სწორედ ასეთი ცოდნის მიღების შესაძლებლობა აქვთ ახალგაზრდებს საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ქალაქ თელავის სასწავლო ცენტრში, რომელიც უკვე რამოდენიმე წელია წარმატებით ფუნქციონირებს, რომელიც დააფუძნა ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა, პატონმა გარი ჩაფიძემ. სასწავლო ცენტრს ადგილზე ქალაქ თელავში ხელმძღვანელობს განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ქალბატონი მაია მჭედლიშვილი. ის აქტიურად ზრუნავს სტუდენტი-ახალგაზრდობის გონებრივ განვითარებაზე, თანამედროვე უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე.

ნინო მარგალიტაშვილი
ქალაქ თელავის სასწავლო ცენტრის პედაგოგი

ცოდნა ძალაა! — ხაშური

ადამიანი სწავლობს დაბადების დღიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, სწავლა ბუნებრივი პროცესია, რაც ნიშნავს, რომ სწავლის სურვილი დაბადებიდან იბადება, სწავლის შედეგად ვიღებთ ცოდნას რაც ადამიანისთვის მისი სულიერი სამყაროს გამდიდრების და მისი ინტელექტის ამაღლების წყაროა. სწავლით ადამიანის გონება საზრდოობს, მისით იკვებება და თუ არაფერს აკეთებ გონების გამოსაკვებად ის ნელ-ნელა კვდება. კარგი მომავლის გარანტი განათლებაშია, სრულყოფილი განათლებისთვის კი აუცილებელია სასკოლო პროგრამის გავლის შემდეგ სპეციალობის დაუფლება, სტუდენტობა, არჩევანი მართლაც დიდია, მაგრამ ძნელად თუ მოიძებნება ისეთი გარემო რაც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ რუსთავის აკადემიურ ქალაქშია შექმნილი. იქ სწავლის გაცემისა და მიღების დიდი სურვილია და სადაც დიდი სურვილია იქ სიძნელეები არ არსებობს ამიტომაც ჩვენთან, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქალაქ ხაშურის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრშიც, არ ვუშინდებით არავითარ სიძნელეებს და ვიღწვით წარმატებული განათლებისთვის, რამეთუ განათლება არის ფუძე და ფესვი, რომელზეც აშენდება წარმატებული სახელმწიფო, ცოდნა ძალაა და მინდა ძლიერი სახელმწიფო გვქონდეს

ელენე ქიბროწაშვილი
ქალაქ ხაშურის სასწაცლო ცენტრის
განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

რუსთავში მოხუცთა სახლი გაიხსნა

კიდევ ერთ კარგ სიახლეს ჩაეყარა საფუძველი საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ.რუსთავის აკადემიურ ქალაქში, აქ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეგიდითა და სათემო ორგანიზაციის ქვეპროგრამით მოხუცთა სახლი გაიხსნა, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ მთელი ქვემო ქართლის მოხუცთა უდიდესი შენაძენია: მყუდრო გარემო, ევროსტანდარტული ოთახები, თანამედროვე კომუნიკაციებით, ინდივიდუალური სატელეფონო კავშირითა და სველი წერტილებით, სპორტული დარბაზით, ტრენაჟორებით, სამედიცინო მომსახურებითა და მასაჟით. ბიბლიოთეკა სოლიდური წიგნადი ფონდითა და თანამედროვე პერიოდული გამოცემებით, სალექციო და საკონცერტო დარბაზებით, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტისაგან სერთიფიცირებული მზარეულების მიერ დამზადებული რამოდენიმე კომპონენტისაგან შემდგარი სამჯერადი კვება... და ეს ყველაფერი არასრული ჩამონათვალია იმ უამრავი სასიკეთო მიმართულებისა, რომლითაც ჩვენი მოხუცი ბენეფიციარები სარგებლობენ.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 22-45-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369

საქართველო უკრაინის სოციალურ
ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრები
აცხადებს მიღებას
IX და XII კლასდამთავრებულთათვის,
ასევე მიიღებიან X, XI, XII კლასის მოსწავლეები
სწავლისაგან მოუწყვეტლად
არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდით
მეც თქვენი სტუდენტი ვიქნები
✓ ექთნის თანაშემწე
✓ სამკურნალო მცენარეების დამამზადებელი
✓ კბილის ტექნიკოსი
✓ ფარმაცევტის თანაშემწე
✓ კრიმინალისტი
✓ დაცვა-პატრულირება
✓ გარემოს დაცვა
✓ ბანკის ოპერატორი
✓ კომპიუტერული ინჟინერია
✓ კორესპონდენტი
✓ სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი
✓ გიდი, ტურიზმი
✓ ბაგა-ბაღის აღმზრდელი
✓ ვეტერინარი
მისამართი:
ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7
ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5 (აკადემიური ქალაქი)
ქ. აბაშა, აღმაშენებლის ქუჩა №1
ქ. ოზურგეთი, კვაჭალათას ქუჩა №5
ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა №57
ქ. ტყიბული, კოსტავას ქუჩა №1
ქ. თერჯოლა, აღმაშენებლის ქუჩა №3
ქ. ჭიათურა, ყაზბეგის ქუჩა №6
ქ. ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქუჩა №2
ქ. თიანეთი, რუსთაველის ქუჩა №10
ქ. მარნეული, ლესელიძის ქუჩა №1
ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქუჩა №6
ქ. ზუგდიდი, სანაპიროს ქუჩა №6
ქ. ლაგოდეხი, ვაშლოვანის ქუჩა №2
ქ. თელავი, ალაზნის ქუჩა №71
ქ. ახმეტა, რუსთაველის ქუჩა №9
კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის
გავლის დამადასტურებელ სამენოვან დიპლომს!